

განმარტებითი ბარათი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელისშემლის ხშირი ფაქტები, ასევე საკანონმდებლო ხარვეზის არსებობა. კერძოდ, სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის მოსამართლის მიერ გამოტანილი განკარგულება დამრღვევის დაპატიმრების თაობაზე არ საჩივრდება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ გამოხატულია აშკარა და უხეში უპატივცემულობა, იგივე მოსამართლე აკისრებს მას პასუხისმგებლობას, რაც ვფიქრობთ სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევაა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა, მოქალაქეთათვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებების სრულად რეალიზება, ამასთან ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება და საერთო სასამართლოებში წესრიგის დაცვის განმტკიცება. პროექტის მიღების მიზანია ასევე, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. კერძოდ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა და განჩინებათა შინაარსის გამარტივება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. დაპატიმრების თაობაზე გამოტანილი განკარგულების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

პროექტი ითვალისწინებს წესრიგის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, საურავების დარიცხვას, რაც გამომდინარეობს ჯარიმის აღსრულების ინტერესებიდან.

ახალი რედაქციითაა წარმოდგენილი კოდექსის 389-ე და 390-ე მუხლები. კერძოდ, 389-ე მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 389. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

- ა) გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი;
- ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- გ) სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის დასახელება;
- დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნას;

ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით;

გ) მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ან გაუქმების შესახებ;

დ) თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება აღნიშნულ ნაწილში იცვლება მათზე მითითებით.

3. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარვეზების განწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.“

390-ე მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 389. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შინაარსი

1. სააპელაციო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე ხელმოკრედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით.

2. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესავალ ნაწილში უნდა მიეთითოს:

- ა) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
- ბ) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- გ) სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემტანი პირის დასახელება;
- დ) გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება).

2. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს:

ა) სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) შემომტანი პირის მოთხოვნას;

ბ) საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით;

გ) მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შეცვლის ან გაუქმების შესახებ;

დ) თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალკეულ შეფასებებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება აღნიშნულ ნაწილში იცვლება მათზე მითითებით.

3. განჩინების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სააპელაციო საჩივრის ან კერძო საჩივრის (საჩივრის) მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.“
კოდექსის 443-ე მუხლში შეტანილია ცვლილებები, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის ერთპიროვნული განხილვა გავრცელდება 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილ სააპელაციო საჩივარებზე, ასევე კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ საქმეებზე და ქონებრივ-სამართლებრივ დავაზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს. კერძოდ, საერთო სასამართლოებში წესრიგის დარღვევისათვის, სანქციის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევები არც თუ ისე ხშირია. მიმდინარე წლის 9 თვის შედეგების მიხედვით, მთელი ქვეყნის მასშტაბით 50-მდე ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. საშუალოდ ამოსაღები იყო 5000 ლარი, თუმცა ამოღების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ჯარიმის აღსრულების ეფექტურ მექანიზმებს. როგორც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის დაკისრებული ჯარიმის აღსრულების სტატისტიკა აჩვენებს, აღსრულებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საურავის დარიცხვის პრინციპის შემოღებამ. აღსრულების ამგვარი პრინციპის შემოღებითაა განპირობებულია კოდექსის 212-ე მუხლში შენიშვნის დამატება, რომელიც ითვალისწინებს 150 ლარის ოდენობით საურავის დარიცხვის შემოღებას, თუ სასამართლოში წესრიგის დამრღვევი პირი დაჯარიმებულია 50-დან 250 ლარამდე ფარგლებში, ხოლო 300 ლარის ოდენობით საურავის დარიცხვის შემოღებას - 250-დან 500 ლარამდე ფარგლებში პირის დაჯარიმების შემთხვევაში. თუ ერთი წლის მანძილზე საერთო სასამართლოებში წესრიგის დარღვევისათვის სანქციის სახით დაკისრებული დაჯარიმების 500 შემთხვევას ავიღებთ, საშუალოდ აღსასრულებელი თანხა შეადგენს 50 000 ლარს, ხოლო თუ ამას დაემატება საურავის დარიცხვის შემთხვევათა დაახლოებით 1/4, საბიუჯეტო შემოსავლები დაახლოებით 20 000 ლარამდე გაიზრდება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებიც დაჯარიმდებიან სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გადაიხდიან დაკისრებულ ჯარიმას, ვინაიდან მათ დაერიცხებათ საურავი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტით დადგენილია საურავი იმ შემთხვევებისათვის, თუ სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის დაჯარიმებული პირი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ჯარიმას. კერძოდ, ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის საფუძველზე დაჯარიმებულ პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი:

ა) 150 ლარის ოდენობით – 50-დან 250 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში;

ბ) 300 ლარის ოდენობით – 250-დან 500 ლარამდე დაჯარიმების შემთხვევაში.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი